დღეს საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა დანაშაულის ტოლფასია

გაზეთი "კვირის ქრონიკა", 17-23 დეკემბერი, 49 (312), 2007

როგორც ხელისუფლება გვპირდება, იანვრიდან ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნება. „ქრონიკა" შეეცადა გაერკვია, რა არის „თეზი", რა პოლიტიკურ-ეკონომიკური საფრთხეებია მოსალოდნელი მისი შექმნის ფონზე და რა სარგებლობა მოაქვს მას მთელი ქვეყნისთვის. ჩვენს კითხვებს ეკონომიკური ექსპერტი და პარლამენტის დეპუტატი ლადო პაპავა პასუხობს.

– ბატონო ლადო, რა არის თეზ-ი ანუ თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

– ეს არის ტერიტორიული ან ფუნქციონალური პრინციპით შექმნილ საწარმოთა ერთობლიობა, რომლებიც განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობენ; შეღავათებით, რომლებიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არ ვრცელდება. ტერმინი „თეზი" პირველად აკაკი ბაქრაძემ ახსენა 1989 წელს, მას ამით საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა სურდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. თუმცა, იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ეს საქართველოსთვის წამგებიანი იყო. ამის გამო, მე მაშინ აკაკი ბაქრაძის იდეის მოწინააღმდეგე ვიყავი. ამის შემდეგ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის სურვილი ასლან აბაშიძეს გაუჩნდა 1994 წელს, მას, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ბათუმის პორტის რამდენიმე ტერმინალსა და ჭოროხის დელტაზე სურდა. სწორედ ამ პერიოდში მიმიწვიეს მთავრობაში. თბილისს ასლან აბაშიძის გაღიზიანება არ სურდა, ამიტომ ერთი მხრივ, ეკონომიკის სამინისტროში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ კანონპროექტზე დავიწყეთ მუშაობა ჩემი ხელმძღვანელობით. მეორე მხრივ, შევარდნაძე არაერთხელ ჩავიდა ასლან აბაშიძესთან და სცადა, გადაერწმუნებინა. პარალელურად, მიმდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკური კანონმდებლობის გამარტივება – ლიბერალიზაცია. ასე, მაგალითად, გაუქმდა ექსპორტის 8%-იანი და იმპორტის 2%-იანი გადასახადები. სანაცვლოდ შემოვიღეთ ერთიანი 12%-იანი იმპორტის გადასახადი, ოღონდ, დიფერენციაციის გარეშე. გავაუქმეთ კვოტირება და ამა

თუ იმ სახეობის საქონლის ქვეყანაში შემოტანა-გატანაზე არსებული აკრძალვები. აქვე აღვნიშნავ, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი სწორედ ნებისმიერი პროდუქციის, ნედლეულისა თუ საქონლის ქვეყნიდან თავისუფალი გატანაა.

– ბატონო ლადო, რაც შეეხება ამ პრინციპს... როგორ იბეგრება თავისუფალი ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე ნაწარმოები პროდუქცია ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე რეალიზაციისთვის გატანის შემთხვევაში? სარგებლობს თუ არა მწარმოებელი განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათებით ამ შემთხვევაშიც?

– თავისუფალ ეკონომიკურ ზონასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კითხვა სწორედ ეს არის. საქმე ისაა, რომ თუ ამ ტერიტორიაზე ნაწარმოები პროდუქცია მესამე ქვეყანაში გაგვაქვს, ის არ იბეგრება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე ხდება მისი რეალიზება, მაშინ იგი იმავე საგადასახადო რეჟიმს დაექვემდებარება, რასაც იმპორტი.

– ანუ გამოდის, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა ქვეყნის დანარჩენი ნაწილის ეკონომიკურ ცხოვრებაში არავითარ როლს არ თამაშობს.

– თითქმის არავითარს!

– როგორც გვახსოვს, თეზ-ის თემა პრემიერმა ჟვანიამაც წამოსწია...

– ნამდვილად და ყველაზე უარესი ის იყო, რომ მისი ინიციატივით თავისუფალი ეკონომიკური ზონა ზუგდიდსა და კონფლიქტის ზონის პირობითი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო.

– ეს ხომ ისედაც თითქმის უკონტროლო ტერიტორიის – კონფლიქტის ზონას ვგულისხმობ – უკონტროლობის იურიდიულად გაფორმებას გამოიწვევდა?

– საქმეც ეგ არის! გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორიც: თეზ-ის მოქმედების ერთ-ერთი პრინციპი ისიც არის, რომ ამ ტერიტორიაზე შესვლა-

გასვლა თავისუფლად შეუძლია სხვა ქვეყნის მოქალაქეს, ხოლო საქართველოს მოქალაქეს ამისთვის სპეციალური ნებართვა სჭირდება. ამგვარად, კონფლიქტის ტერიტორიის პირობით საზღვართან თეზ-ის ამოქმედება გამოიწვევდა იმას, რომ ჩვენ იქ შესვლას უკვე საკუთარი კანონმდებლობა აგვიკრძალავდა.

– ბატონო ლადო, რა უნდა შეიქმნას ფოთში – თავისუფალი თუ სპეციალური ეკონომიკური ზონა?

– პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს „სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ“ ეწოდება. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ გინდა თეზ-ი დაარქვი, გინდა სეზ-ი, გინდაც „სპეციალური ინდუსტრიული ზონა“, მნიშვნელობა არა აქვს. მიუხედავად სახელწოდებისა, არსი, საფრთხეები და შესაბამისად შედეგები, აბსოლუტურად ერთი და იგივეა. უბედურება ის არის, რომ ჩვენს ხელისუფლებას ამ საკითხის შესახებ ძალიან პრიმიტიული წარმოდგენა აქვს. აშკარაა, მათ ჰგონიათ, რომ თუ თეზ-ი არ გაამართლებს, ამ წამოწყებას უბრალოდ გააუქმებენ. ეს, შეუძლებელია! მინდა ხელისუფლებამ კარგად გაიაზროს: საუბარია დიდი ოდენობით უცხოურ კაპიტალზე და 49-წლიან იჯარაზე. ერთხელ ხელმოწერილი ხელშეკრულებების დარღვევის უფლებას დაუსჯელად ქართულ მხარეს არავინ მისცემს. დასავლეთიც, ამერიკაც და ნებისმიერი ქვეყანაც ძალიან მკაცრად, ხისტად დაიცავენ თავიანთი მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს. სხვათა შორის, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ „სპეციალური ინდუსტრიული ზონების შესახებ“ კანონ-პროექტი მოამზადა და პარლამენტში გაიტანა დასამტკიცებლად, უცხოელები ძალიან შეშფოთდნენ. იმდენად, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წევრებს სპეციალური დახურული სემინარიც კი ჩაუტარა. ეს ფაქტი თითქმის არ გახმაურებულა. მთავრობის წევრებს ლექციების კურსი წაუკითხეს. აუხსნეს, რომ არსებობს ორი ტიპის ქვეყნები. ის, სადაც ინვესტიციების სიჭარბეა და სადაც „ინვესტიციური შიმშილია“. საქართველო ჯერ კიდევ ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება.

– რატომ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხომ ინვესტიციური ბუმია. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს დღევანდელი ხელისუფლება.

– მართლაც, შევარდნაძის პერიოდთან შედარებით ინვესტიციებმა იმატა, თუმცა, ეს უმთავრესად ე.წ. „სპეკულაციური ინვესტიციებია“, ანუ, ინვესტორები ძირითადად მხოლოდ უძრავი ქონების შესყიდვით არიან დაკავებულები, რაც შეეხება ახალი ტექნოლოგიებისა და საწარმოების განვითარებას, ამ მიმართულებით კაპიტალდაბანდებები თითქმის არ ხორციელდება. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ თეზის სახით ქვეყანაში შეიქმნება ერთგვარი, „ეკონომიკური თავკომბალა“. მთელი თანხების აკუმულირება მოხდება იმ ტერიტორიაზე, ქვეყნის დანარჩენი ნაწილი კი იგივე მდგომარეობაში დარჩება, რომელშიც არის ახლა.

– ბატონო ლადო, შეძლებს თუ არა ახლად შექმნილი თავისუფალი ეკონომიკური ზონა კონკურენცია გაუწიოს იგივე, თუნდაც, თურქეთში მოქმედ თეზ-ებს? ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს აქვს უკონტროლო, სეპარატისტული ტერიტორიების პრობლემა და არც არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული საზღვრისპირა რეგიონები უნდა დაგვავიწყდეს. ამგვარად, მომავალი ინვესტორებისთვის საქართველო მაინცდამაინც პოლიტიკურად საიმედო ვერ არის.

– მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი, ასე ვთქვათ, სტაჟიანი თეზ-ების ფონზე, ქართული აშკარად ნაკლებად მიმზიდველი იქნება. მით უფრო, რომ მეზობელ თურქეთში უახლოესი ზონა ტრაბზონშია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის ზონებისა და არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ხსენებაც. წარმოიდგინეთ, თუ ფოთში შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რა გარანტია გვაქვს, რომ მსგავსი სურვილი ვინმეს სადმე სხვაგანაც არ გაუჩნდება? უპირველეს ყოვლისა, სწორედ კონფლიქტურ ზონებსა და არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში. თან ვიმეორებ, თეზ-ის ერთ-ერთი პრინციპი ის არის, რომ საქართველოს მოქალაქეს ამ ტერიტორიაზე შესასვლელად სპეციალური ნებართვა სჭირდება, ხოლო უცხოელი თავისუფლად შედის და გამოდის. ამგვარად, თუ არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში თეზ-ის შემოღების მსურველთა და ლობისტთა მცდელობამ შედეგი გამოიღო, ამ

რეგიონებს უბრალოდ დავკარგავთ. ეს საფრთხე განსაკუთრებით დიდია სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით. თქვენ კარგად იცით, რამდენად ძლიერი მხარდამჭერები ჰყავთ ჩვენს მეზობლებს მსოფლიოში. ვთქვათ, მოინდომეს და წამოსწიეს ეს საკითხი. როგორ ეტყვი უარს, როდესაც ფოთში ეს ე.წ. სპეციალური ინდუსტრიული ზონა უკვე იარსებებს? ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვამბობ, რომ დღეს საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა დანაშაულის ტოლფასი შეცდომაა.

– არის თუ არა საკმარისი, დღეისათვის არსებული ქართული საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ ფოთის თეზ-ი კრიმინალური პროდუქციის, ვთქვათ, ნარკოტიკების მიმოქცევის ოაზისად არ იქცეს? შეძლებენ თუ არა ქართველი სამართალდამცავები თეზ-ში კრიმინოგენული ვითარების გაკონტროლებას?

– დიახ, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში ამასთან დაკავშირებით სპეციალური მითითებებიც არის შესაბამის კანონებზე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ზონაზე მიმაგრებულნი იქნებიან პოლიციის კონკრეტული თანამშრომლები. მათ თეზ-ში შესვლა-გამოსვლის პრობლემა არ ექნებათ და სამართლებრივ კონტროლსაც ისინი განახორციელებენ. თუმცა, ერთგვარი საფრთხე მაინც არსებობს, რადგან ვიმეორებ, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ნებისმიერი კონტროლის მექანიზმები შედარებით შესუსტებულია.

– ამ პრინციპით, მაშინ, ფულადი მასის მიმოქცევის გაკონტროლებაც რთული იქნება. ხომ არ გადაიქცევა ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა „შავი“ ფულის „გიგანტურ სარეცხ მანქანად“?

– ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს, ფაქტია, რომ თეზ-ში გახორციელდება დიდი რაოდენობით გადარიცხვები, რომელთა გაკონტროლებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. მეტსაც გეტყვით: თეზ-ებზე მოთხოვნილება დღევანდელ მსოფლიოში სწორედ ფინანსური ოპერაციების უკონტროლობის გამოა.

– ბატონო ლადო, თუ თეზ-ს ქვეყნისთვის ეკონომიკური სიკეთეები არ მოაქვს და ამ დროს ხელისუფლება ამ პროექტს მაინც ახორციელებს, პრინციპში, ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მთავრობას სწორედ უკანონო

შემოსავლების „გაპრავება“ სჭირდება. გავიხსენოთ, თუნდაც, ძალოვან სტრუქტურებთან არსებული გაუგებარი ფონდები. ისინი დაიხურა, მაგრამ არავინ იცის, სად წავიდა ამ წარმონაქმნებში აკუმულირებული თანხები.

– თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემას სპეციალური კვლევის ჩატარება სჭირდება. თუმცა, ასეთი ეჭვს არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. სხვათა შორის, ჩემთვის ძალიან უცნაური იყო, როდესაც ახალმა პრემიერმა ამ ე.წ. სპეციალური ინდუსტრიული ზონის მხარდაჭერა ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა. მე, ლადო გურგენიძეს გონიერ ფინანსისტად ვთვლიდი.

– ბატონო ლადო, თუ ფოთში ეს სპეცინდუსტრიული ზონა შეიქმნება, ლოგიკურია, რომ ამის სურვილი ბათუმში გაჩნდეს. რა, საქართველომ შავ ზღვაზე გასასვლელი უნდა დაკარგოს?

– ლოგიკურია, რომ ასეთი საფრთხე მართლაც ვივარაუდოთ. მით უფრო, რომ ერთ-ერთ გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: „შავი ზღვის სანაპირო მთლიანად თავისუფალ ეკონომიკურ ზონად უნდა გადავაქციოთო“. მაშინ სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო. ამ ეტაპზე დამამშვიდებელი მხოლოდ ის არის, რომ აჭარასთან დაკავშირებით ხელისუფლებას თითქოს სხვა გეგმები აქვს – ისინი აცხადებენ, რომ მათ, აჭარაში ტურიზმის განვითარება სურთ.

– ბატონო ლადო, თეზ-ს რაიმე დადებითი მხარე თუ აქვს?

– მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ინვესტიციების სიჭარბეა, ან მკაცრი, არალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება.

მანანა აბაშიძე